შ.პ.ს. “ედრი +”

ვამტკიცებ: შ.პ.ს. “ედრი +” –ის
დირექტორი



ი. მანწკავა

ქ. თბილისი, ცაბარელის ქ. №35-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გავლენა მომიჯნავე ნაგებობებზე

თბილისი 2016 წ.

დასკვნა

ქ. თბილისი, ცაგარელის ქ. №35-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გავლენა მომიჯნავე ნაგებობებზე

ქ. თბილისი 2016 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისში ცაგარელის ქ. №35-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საკადასტრო კოდი 01.10.14.017.021) პროექტის არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შ.პ.ს. "მეტა სტუდიო"-ს მიერ, დირექტორი ო.გაბუნია, მთ.არქიტექტორი ი.ხავთასი, პროექტის ავტორი კ.მორჩილაძე.

კონსტრუქციული პროექტი დამუშავებულია ფიზიკური პირი კონსტანტინე ჯავახიშვილის მიერ.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, გეგმაში ღერძებს შორის მაქსიმალური ზომებით 16,9 X 14,40 მ. იგი 10 სართულიანია მანსარდის სართულით.

შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამით იქმნება ერთიანი ხისტი დიაფრაგმა, რაც მნიშვნელოვანია სეისმიური დატვირთვების მისაღებად.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმედებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, რომელიც ჩატარებულია შპს "ახალი საქალაქმშენპროექტი" -ს სპეციალისტთა მიერ. სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში და ნაგებობის დაფუძნება ხდება ძირითად ქანებზე მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯების საშუალებით.

ცაგარელის ქ. №35-ს ერთი მხრიდან ესაზღვრება ცაგარელის ქუჩა № 33 და მეორე მრიდან ცაგარელის ქუჩა № 37.

ვინაიდან ცაგარელის ქ. №35-ში მდებარე შენობა ხიმინჯების საშუალებით ეფუძნება კლდოვან ქანებს, შენობიდან მოსული დატვირთვები პირდაპირ გადაეცემა კლდოვან ქანებს და ამდენად ცაგარელის ქ. №35-ში მშენებარე შენობა არ იქონიებს უარყოფით გავლენას მის მომიჯნავე ცაგარელის ქ. №33 და ცაგარელის ქ. №37-ში მდებარე ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობაზე

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე
T: 551-24-30-18

ელფოსტა: Lerizam@mail.ru